



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 27

„18“ მარტი 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებაში ცვლილების შეტანაზე/ახალი წესდების დამტკიცებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად შეიტანოს ცვლილება ან/და საჭიროების შემთხვევაში ახლიდან დაამტკიცოს თელავის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. „კულტურის ცენტრის“, ა.ა.ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანების“, ა.ა.ი.პ. „ბაგა - ბაღების გაერთიანების“, ა.ა.ი.პ. „წინანდლის სამუსიკო სკოლის“, ა.ა.ი.პ. „აკურის სამუსიკო სკოლის“ და ა.ა.ი.პ. „რუისპირის სამუსიკო სკოლის“ წესდებები.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



Handwritten signature

პაატა გიორგობიანი